კვირა 28 აგვისტო 1927 წ. № 115 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯამ ყველა ქვეყნების მუშებში მრისხანე აღშფოთება გამოიწვია.



ძეგლი კულიჯის პრეზიდენტობის აღსანიშნავად.

F-924

# 20 მანეთი

ოც მანეთით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ გაქვს შნო და ლაზათი.

მაგალითად, თუ დაბალი მოსამსახურე ხარ, შეგიძლია ოცი დღე კიდევ გაძლო ამ წუთისოფლად წვრილი ცოლშვილით. გაჭირვების დროს კი ერთ თვესაც მშვენივრად იცხოვრებ და ერთ ორ მანეთს კიდევ შავი დღისათვის გადაირჩენ.

თუ მაღალი მოსამსახურე ხარ, მაშინაც ბევრ რამის გაკეთება შეგეძლება ამ 20 მანეთით. საჭიროა მხოლოდ გემო გქონდეს ცხოვრების და ბრუნავდე ქვეყანასთან ერთად. (რადგან წაგებული მხოლოდ ის რჩება, ვისაც სურს მაინც და მაინც უკუღმა იბრუნოს, როდესაც ქვეყანა წაღმა ბრუნავს.)

20 მანეთი კარგი თანხაა. შეგიძლია ორი-სამი მეგობარი დაპატიჟო და ზორბად ისადილო ცნობილ ავეტიქასთან.

განა რა შერჩება ადამიანს ამ ქვეყნად თუ არა სმაჭამა და მხიარულება! ტყუილად კი არ უთქვამს პოეტს უკვდავი სიტყვები:

ამხანაგებო და მეგობრებო
ვსვათ ეს არაყი, ღვინო და ლუდი
და მოვითხოვოთ მეორეს შემდეგ
მესამე, მეოთხე, მეხუთე ბლუდი!..
ვიმხიარულოთ, ვილხინოთ ასე;
სმა-ჭამა არის ცხოვრების ღერძი.
შერცხვენილ იყოს ის მოქალაქე,
ვინც ამ ქვეყანას ღვინით არ ებრძვის...
ვჭამოთ, დავლიოთ... დავლიოთ ოხრად.
და ამ სუფრასთან დავხვდეთ ალიონს...
ყოველ ახალ კვარტს ველოდით ისე,
ვით მახარობელ მჭლე ფოსტალიონს!..
მაშ ასე, ძმებო და მეგობრებო
ვსვათ ეს არაყი, ღვინო და ლუდი,
და მოვითხოვოთ მეხუთეს შემდეგ
მეექვს, მეშვიდე და მერვე ბლუდი!...

თუმცა პოეტის ეს ლექსი სავსებით არ შეეფერება ოცი მანეთის ანგარიშს, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ უყვართ პოეტებს გადაჭარბება, და თითქმის უფრო მეტად, ვიდრე მიკიტნებს ანგარიშში.

სერაფიონი მაღალი მოსამსახურე არ იყო, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ცხოვრების შნო არ ქონოდა. პირიქით, უფრო ხშირად შნოც და გემოც იმას აქვს, ვისაც შოვნის შნო არა აქვს.

სერაფიონმა დღეს მართლაც შნოზე და გემოზე ისადილა მეგობრებთან ერთად. შუა ღამე იყო, როდესაც დაბრუნდა სახლში, ჩაიკეტა კარები, მოუჯდა მაგიდას და ღვინით ჯერ კიდევ გახურებულ თავით მიეცა მწარე ფიქრებს.

საფიქრი ბევრი რამ იყო, მაგრამ მთავარი და გადაუდებელი მათში მხოლოდ ერთი იყო.

ხვალ სახლათფორთო საქმე იყო მოსალოდნელი, რადგან სახაზინო 80 მანეთი უნდა ჩააბაროს ვისაც ჯერ არს, და ეხლა კი ამ ფულს სწორედ 20 მანეთი აკლია.

სერაფიონი სასოწარკვეთილებას მიეცა. ავანსზე ფიქრიც ზედმეტია. ისედაც ბევრი აქვს წაღებული... თუმცა, ვინ იცის?..

და ყოველ შემთხვევისთვის სერაფიონმა უკვე მოიფიქრა განცხადების შინაარსი, რომლის მთელი სიმძიმე იმაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ რა კი ორასი მანეთი მოგიციათ და ხშირად გიხსნივართ გაჭირვებიდან, მადლს ბარემ მოაყარეთ მარილიც და 20 მანეთიც კიდევ მომეცით, რადგან ვიღუპები, და თუ დავიღუპე, ჩემთან ერთად დაიღუპება ყველა ჩემზე დამყარებული იმედები და თანაც თქვენი 200 მანეთიც.

სერაფიონს ყავდა ერთი მეგობარი, რომელიც ამგვარ განცხადებებით ყოველ თვე სულ ახალ-ახალ ავანსებს იღებდა, და ბოლოს საითღაც რუსეთში ჰკრა თავი. ასე, რომ 1200 მანეთი ფხალივით შერჩა.

და სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება უკარგავდა სერაფიონს ეხლა იმედს ავანსის მიღებაზე.

ასეთ ფიქრებში იყო სერაფიონი, რომ უეცრად რაღაც აზრი მოუვიდა თავში და ეხლა უფრო ღრმად ჩაფიქრდა.

— ერთი კვირის წინად მეზობლისას იყო... ჩაილაპარაკა სერაფიონმა საკმაო ხანია გასული. —აქაც რომ მოვიდეს, ნუ თუ ოცი მანეთიც კი არ ექნება ჯიბეში იმ ტიალს?..

სასოწარკვეთილებაში ადამიანი ყველაფერს გადაწყვეტს. სერაფიონი წამოდგა, გაშალ ა ლოგინი, შემდეგ დაახვია გრძლად ძველ-ძველი ტანისამოსები, დასდო ლოგინზე და ზევიდან საბანი წაახურა, ვითომ ლოგინში ადამიანი წევსო. ამის შემდეგ გამოაგდო ჯოხით შკაფის ქვეშიდან ბაბუამისის მიერ დატოვილი არშინიანი ხანჯალი და ყურადღებით დაათვალიერა. თუმცა დაჟანგული იყო, მაგრამ მაინც გამოდგებოდა.

შუა ღამეს გადასულ იყო. ყველას ეძინა, ვისაც კი ჰქონდა ძილის თავი. ეძინა მეეზოვეებსა, რადგან ამ ადამიანთა განსაკუთრებულ მოდგმას უფლება აქვს იძინოს დღეც და ღამეც.

სერაფიონმა გაალო ფანჯარა და ქუჩაში გადაიხედა. „პოდიეზდის" კიბეზე ჩამომჯდარიყო მეეზოვე და თავგამოდებით ებრძოდა ძილს. შეიძლება გამოძინებული იყო კიდეც... ბოლოს გამოერკვა, წამოდგა ოხვრით და შუა ქუჩაში დაიწყო სიარული.

მაგრამ მალე მობეზრდა ეს სიარულიც, ჩამოჯდა ისევ კიბეზე, ერთი მამაპაპურად დაამთქნარა და თავიანფეხებიანად უპროტესტოდ დანებდა ძილს.

ვიწრო, მიყრუებულ ქუჩაში მხოლოდ კატები დარბოდენ გულჩათხრობილად და ვილაცებს გზირავდენ.

სერაფიონმა დატოვა ერთი ფანჯარა ღიად, ჩააქრო ლამფა, დაიჭირა ხანჯალი ხელში და იქვე ბნელ მიფარებულ კუთხეში ჩამოჯდა. წინ კიდევ რაღაც ჩამოიფარა.

მიდიოდა დრო. გარედ კატებს მორიგი საზაფხულო კონცერტი ჰქონდათ გამართული ღია ცის ქვეშ. განსაკუთრებით მომხიბლავი იყო ტენორის და ბანის დუეტი.

სერაფიონი მოთმინებით უსმენდა ამ დუეტს, და დასრულებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შემსრულებელნი უთუოდ სავასტროლოდ ჩამოსულნი უცხოელნი უნდა იყვენ.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს, ბოლოს სერაფიონმა რაღაც საეჭვო ხმაურობას მოკრა ყური. იმედი გაუმართლდა. თქმა არ უნდა, ვილაც მოფოფხავდა ფანჯარაზე.

ქუჩის სინათლეზე სერაფიონმა გარკვევით შეამჩნია, როგორ გადმოვიდა ქურდი ფანჯარაზე, ფეხაკრეფით დაიარა ოთახი, შეაგროვა ფრთხილად წასაღები ნივთები და ის იყო ფანჯრისაკენ უნდა წასულიყო, რომ სერაფიონი მამაცად გამოვიდა თავის კუთხიდან ხანჯლით ხელში და მკაცრი ხმით მიმართა დაუპატიჟებელ, მაგრამ სანატრელ სტუმარს.

— ამას ხედავთ?!. და ფანჯარასთან დამდგარმა სერაფიონმა არშინიანი ხანჯალი საზარლად შეატრიალა ხელში.

სტუმარმა მხრები აიწია.

— ვხედავ...

— კარგი იარაღია, არა?.. ცხონებული ბაბუაჩემი რომ კვდებოდა, იმას იძახოდა, არაფერი არ მენანება ამ ქვეყნად, მხოლოდ ამ ხანჯალზე მწყდება გულიო... შემდეგ მე დამიტოვა სახსოვრად... დაიკიდე, ცხოვრებაში გამოგადგებაო...

ქურდი არც კი აპირებდა წინააღმდეგობას.

— თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, საფლავში ჩავატანდი... ვინ იცის, როგორ დარდობს, ეხლა იმ ქვეყნად...

მაშინ სერაფიონმა მკაცრი ხმით უბრძანა სტუმარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი ხიდი ქუთაისში



ანუ როგორ წარმოუდგენიათ ქუთათურებს გემზეჯდომა.

თავისივე ხელებით გაენთავისუფლებინა საკუთარი ჯიბეები, როგორც სხვისი, ისე თვით საკუთარ ნივთებისაგანაც.

მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქურდმა ამოალაგა რაც კი ჰქონდა ჯიბეებში, შემდეგ ფრთხილად შემოუარა სერაფიონს და ერთი სკუპით ქუჩაში იყო.

სერაფიონმა გულის ფანცქალით დახედა თავის ნამუშევარს. 35 მანეთი და ერთი ოქროს საათი კარგი ჯილდო იყო.

არას დროს არ სძინებია სერაფიონს ისე მშვენივრად, როგორც იმ ღამეს. როდესაც გამოიღვიძა, უკვე გათენებული იყო. ერთი მაგრად გაიზმორა, სიამოვნებით გაიხსენა წუხანდელი თავგადასავალი და ოთახს გადახედა...

და ნეტავ სიზმარი ყოფილიყო ეს თავგადასავალი. ოთახში ყველაფერი ყირამალა იდგა, გაბრუებული სერაფიონი მივარდა სკამს, სადაც ეწყო ტანისამოსი ფულებით და საათით, მაგრამ ტანისამოსის ნაცვლად ქაღალდის ნაგლეჯი დახვდა წარწერით:

„ისე როგორ გაგაბრუათ წუხანდელმა გამარჯვებამ, რომ ფანჯარა ისევ ღია დატოვეთ. ყოველ შემთხვევისთვის მიმაქვს ბაბუათქვენის ხანჯალიც, ნუ გეწყინებათ მარტო საცვლების ამარა რჩებით“.

სერაფიონი ჯერ თავზარდაცემული იდგა. შემდეგ უეცრად სულელევითი გადაიხარხარა.

მივარდა მაგიდას, წვდა კალმისტარს და დაიწყო წერა. ხუთი წუთის შემდეგ განცხადება მზად იყო.

თავდებოდა ეს განცხადება ასე:

„...წაიღეს უკანასკნელი შარვალიც კი. დარჩენილი ვარ მარტო საცვლებში. გთხოვთ მომცეთ 600 მანეთი დახმარების სახით, რადგან ჩემი მდგომარეობა და სასოწარკვეთილება აუწერელია“.

ამის შემდეგ სერაფიონმა მაგრად დაუკაკუნა მეზობელს, მოუყვა მას ყველაფერი ვაი-ვიშით და თხოვა განცხადების წაღება სამსახურში, რადგან თვით უშარვლოდ იყო დარჩენილი. შემდეგ გააძვრინა განცხადება კარების ქვეშ, ჩაგორდა ლოგინში, ამოიდო ხელები თავქვეშ და მიეცა ათასგვარ ოცნებებს, რადგან წაღებული არ იქნებოდა სულ 200 მანეთის ნივთებიც კი.

სინემატო.

## ზედმეტი სიყვარული

— რათ დაიჭირეს სილოვანი?

— მარქსისადმი ზედმეტი სიყვარულისათვის...

— რაო?

— რაო და ის, რომ მარქსის წიგნები გაალალა სამკითხველოდან.

# სემაფორის ბრალია

— აი, ვანქის მადლი გაუწყრეს ვინც რომ ქალაქის ქუჩებში სიმაფორები დადგა და გვერდში მილიციონი მიუყენა—ასმა კაცი არ გაატარიოო. ვაჰხ! რა ხათას გადავრჩი ჰაზირ? ა[illegible] [illegible]აჯეროეფ, [illegible]რდაპირ უბაშფორთოით საიქიოს მივდიოდი, უზიარებლად და უტერტეროთ ვკვდებოდი რაღა. ერთი მამენტი იყო აი, მამენტმა შიშველა თორემ მშვიდობით გეურქჯან, შენი ხსენებაც აღარ იქნებოდა!

ახარ როგორ მეწოდა ჯიგარი, მეგონა ჰა, ეს არის კოლინჯი მივლი[illegible] და საცაა გამ[illegible]ამამებს მეთქი.უფალმა ღმერთმა ისევ ამ ოყნის მამგონი ჰექიმი აცოცხლოს, თორემ მამენტალნათ ხელიდან წავიდოდი, მააშ?! გებნები იმ ჰინით თავის პოწამლვა ჩერესჩურ ძნელი ყოფილა. ჰექიმმაც კი თქო თუ:

— შე ბემურაზო, ასეთ სილნი ატრავას რათა სომდი, ხნიერი კაცი ხარ, ღემნაზისტკა ხომ არა ხარ რომ თავს იწამლავო?

ვებნები: ჰექიმჯან, მართლა მოსაკლავი არ გეგონო, პაჟალუსტა ჩქარა დამიკაჩავე, მე აშიპკაში ჩავვარდი, იალლიში მამივიდა, კასტორკის მაგვრათ გახსნილი ჰინა დავლიე მეთქი. იმ ახმახს რომ ხანჯალი არ ამაელო, ჰამაც მილიციონს რომ ჩემი თავი სიმაფორთან არ დეებანდებინა, მე კუჰი არ მამეშლებოდა და კასტორკა არ დამჭირდებოდა მეთქი! ბევრი იცინა როცა ყველაფერი პადრობნათ უამბე!

— არც თქვე გაგიგიათ [illegible] პრიკლუჩენია? არ იცით, რომ თავი მოვიწამლე და ძლივს გადამარჩინეს? ე-ე-ე, მაშ თქვენც თავიდან გიამბობთ ყველაფერს:

ეს სულ იმ კუზიან მიკიჩას ბრალი კი იყო, იმან ჰაკარაკათ ატყდა თუ ხოშზე ვარ და რეჩები უნდა ვთქოთო. შაფათ დღეს იყო რაღა, ჩოფურაშვილის დუქანში ვქეიფობდით: მე კუზიანი მიკიჩა, ავაგორე-დარჩუა, ჰონი ვართანა, ყიყვიანი ხაჩატურა და სხვები. ჩვენ გვერდით, ერთ სტოლზე სხვა კამპანია იჯდა, იმერლის ხანჯლიანი კნიაზები იყვენ, ჰამაც ჯეჰელი ბიჭები და ბარიშნები. როცა რიგიან-პირიანათ ჩაასხეს, მერე სადღეგრძელოები თქვეს: სულ სიყვარულის მარიფათებზე და ჰუნარებზე დაიწყეს ლაპარაკი.

‚ჩვენი კუზიანი მიკიჩაც აცუნცრუკდა და იძახის:

— ჩვენ კი ნაკლები ჯეჰელები ვართ რომ ინტლიგენცკის რეჩები ვერა ვთქოთო? სკამზე შადგა და თქო:

— კამპანიაჯან, [illegible] ღმერთმა ადღეგრძელო[illegible] [illegible] ალვის ხე, რომელიც რომ ალვის ხე წყლის პირზე ამოსულიყოს, მაგრამ მაინც წყურვილის გნით ხმებოდეს. იმის გამხმარ კენწოროზე მტრედი ღუღუნებდეს და იძახდეს:—ვახ, სიყვარულო, დაიწვის შენი მამგონიო.

ჩვენ ჩერესჩურ მოგვეწონა ჰამა იმ ჯეჰელების კამპანიამ მახსარათ გაგვაკეთა, სიცილი დაიწყეს! ამაზე მიკიჩამ აბიჟაიტი ქნა და იძახის, მაგ ლუპუსტაცების ჯიბრზე, სუყველამ თითო რეჩი უნდა სთქოთო. იმტოლი იჩალიშა, სანამ მეც არ მათქმევინა. მეც ავიღე და იმ ჯეჰელების კამპანიას ვებნები:

— კამპანიაჯან, ეხლა თქვენ ჯეჰელები ხართ, ზნაჩიტ რომ თქვენი გულის მურაზებიც გეყოლებათ, პრიმერნათ ეგ ბარიშნა რომ გიზით, რაზუმეიცა გეყვარებათ ძაან კარქი საქონელია, ერთი მაგის პროშტი მილიონი ღირს, ჰამაც მაგის თვალები კაკლის მურაბასა ჰგავს, მაგისი დაწუწნა მადლია, მაგის მკლ[illegible] დაწოლა ცხონება და ლაზათია!—ნუ სლოვომ, ჩემიეის მაგაზე მეტი ჰარამია, თქვენთვის ხომ ნამდვილათ ფათა მოვა მეთქი! მაშ შაიძლება, რომ მაგისთანა ნუგბარი რამე არ გიყვარდეს და მაგის ჩაკნატუნების ჰიშტა არა გქონდეს? სიყვარული—მოხარშული გვრიტია, იმისი ძვალიცა და რბილიც ერთნაირათ შამრგო რამეა, მაშ უფალმა ღმერთმა, ეგ გვრიტი აცოცხლოს, ჩვენ მაგაზე გვახაროს და ეგ კი—ჩვენზედა მეთქი!..

ეს რო ვთქვი, წამოხტა ეს მთელი კამპანია და როგორც ვეფხვები, ისე გადმოხტენ ჩვენსკენ.

—შე ღიპიანო სპეკულიანტო, რავა გვიბედავ მაგას, კუჭზე რეიზა მოგვიყვანე, საცოლოს რავა მილანძლავო?.. დაიწყეს მტვრევა, მიწევ-მოწევა, ყალ-მაყალი და ერთ ნიმუტში ისეთი ტრევოგა და დასტა-ბუბუ გაჩნდა, რომ ყეენობა გეგონებოდა...

ამ ყალ-მაყალში ისე მიბრახუნეს, რომ თავი პიონერცკის ბარაბნათ მიქციეს. ჰიმანუმეს? თურმე სწყენიათ, მე მისმილი გულით ვლაპარაკობდი, იმათ კი ფინთი რამე ჰგონებიათ, ჰაი ბევრი ბოდიში და ჩალიჩობა, ხვეწნა -მუდარა, და ძლივს დავაშოქმინეთ და ჰოპოპები ჩაიუბინავეთ.

დავსხედით—ჰამა, მაინც ხშირათ ჯვარდებოდა: შე კალანდის ლორო შენა, თუ რეჩის ტეხნიკა არ იცი, რეიზა ლაპარაკოფო?

— ვებნები, ძმაოჯან, მინაოთში ვარ, პირძაღლი ვიყო, თუ რომ გულში ფინთი რამე მქონდეს მეთქი, ჰამაც, თუ ძალიანა გწყინს, წამოდი და შენც ჩემ შუშანას რამტოლიც გინდოდეს იმტოლი ისემეუკავი რეჩები უთხარი მეთქი რაღა, შენც ადღეგრძელე მეთქი.

ერთი სიტყვით, არ დაიშალა და როცა მიდიოდენ, მაინც დამემუქრა.

საღამომდის ვიქეიფეთ და როცა შებინდდა მაშინ გამოველით. ჩემი ჰამფსონები აქეთ-იქით დაიშალენ და მეც სახლისკენ წაველ, ჩუღურეთში ვცხოვრობ და ვარანცოვის ხიდზე უნდა გავიარო. ალექსანდროვის ბაღთან რო მიველ, ვხედამ ის ჯეჰელების კამპანია დგას და მიცდის. ბოლოს ერთი ხლუპუზი მოვიდა და მებნება:

— შენ, ეი, ღიპიანო, მოსკოვში და პეტრებრუხში ყოფილხარო?

— არა ვყოფილვარ!

— რატომ არა ჰყოფილხარო, და ისეთი პრისტაული სილა გამიშალა, რომ სიფათში მთელი ზაგესის ლამფუჭკები ამინთო, დავბარბაცდი და ტროტროზე დავეცი; როცა ავდექი და გაქცუნება დავაპირე, ახლა მეორე ხანჯლიანი ახმახი გადამიდგა წინ და მებნება:

პაპაჯან მართლა არა ჰყოფილხარ პეტრებრუხში? ვიფიქრე, ეს მებურაზები შარს მიპირობენ მეთქი და ხერხი ვიხმარე:

— ვახ, როგორ არა ვყოფილვარ, მთელი პეტრებრუხის ბულვარები დათრაქული მაქვს მეთქი.

— ჰაი, შე ქოფაკო, იქ რა გინდოდა რო წახველი და იქაური ოზდუხიც გააფუჭეო და იმანაც მეორე ყურის ძირში მაგარი სილა გამაწნა,—ბოლოს მკლავის სიგრძე ისემე ამაიღო და ის არის უნდა მატაკოს—ხანჯალი რაღა—ძაან გალესილი რამე იყო.

ერთი გავქცუნდი, ერთი გავქცუნდი, რომ ჰაკი მგელიც ვერ მამეწეოდა!— მივრბივარ და ვყვირი:

— ქრისიტანებოჯან, ხანჯალზე ამაგეს, მამკლეს, ნახევარი უჟე მკვდარი ვარ, მიშველეთ მეთქი. უცბათ ხიდის ყურში სიმაფორს გაუ[illegible] და გავრბივარ. უცბათ მილიციონმაც მე არ დამიწყო ყვირილი?

— კუდი ბეჟიშ, აოაკლიატ. [illegible]კი ნაზატ პრიხადიო, ამ სემაფორისთვის მარცხნიდან ონოა შემოგევლო და შენ კი მარჯვნივ შემოუარეო, ამ ნიმუტში მობრუნდი და სემაფორის მარცხენა მხარეზე გაიარე, ისე არ გაგიშვეფო!..

ვებნები:—მილიციონჯან, შენ რაღას კაპრიზნოფ, ვერა ხედამ ამოლეუულ მაარბენინებს და უნდა რომ მატაკოს მეთქი? მარჯვნივ იყო თუ მარცხნივ, მაგ სიმაფორს ხომ გამოვცილდი და კრუშენია არ გამხდარა, ჩემი მეორეთ მობრუნება და მარცხნით შემოვლა რაღა დოზანათ გინდა მეთქი? ბან ჩუნეს? გაჰქირის ვირზე შაჯდა, დაიწყო ყვირილი და შუშტუკის დაკვრა:—ზაკონი ასეთია, ია პრინციპიალნა ნი პუშჩუო. მე კი უკან მოხედვაც აღარ მინდოდა და ვფიქროფ, ჰაა, საცაა ის ახმახი მომეწევა და ხანჯალზ ყეენობის ვაშლივით ამაგებს მეთქი.

ასეთი შიშისგნით კუჭი მამეშალა და რასტროისტვა დამემართა. ყველაფრის თქმა კი არ იქნება, ჰამა, როცა უჩასკაში მიმიყვანეს,—იქიდან სახლში სპეციალნათ კაცის

საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ჩა მოსულ ექსკურსანტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ თბილისში ქა ლაქის აზიური ნაწილი.



— ამოდენა ხალხი ჩემს სანახავათ ჩამოსულხართ? თითოს რომ ათი შაური გამოგეგზავნათ, მე თითონ გესტუმრებოდით.. ჯანი გამვარდეს, მე შევწუხდებოდი!

გაგზავნა დამჭირდა შუშანასთან. საცვლების მოსატანათა (ჩვენში კი დარჩეს, არავის უთხრა).

შუა ღამისას, როცა სახლში მიველი შუშანა უკვე კრაოტში იწვა. იმან მითხრა თუ, გუფეთში ჩაის სტაქნით ყასტორკა დგას, ის დალიე და ბოლოს ახში მორჩებიო... გამოვილე სტაქანი, დავლიე და მამენტალნათ ფინთი სულმამივიდა გულ-მუცელი მეწვის და მტკივა. ტრევოგა ვქენი, შუშანა ადგა და სტაქანი რო ნახა, შეეშინდა.

— შე ბემურაზო, მაგ სტაქანში თმების შესაღებათ ჰინა მქონდა გახსნილი და ის დაგილევიაო, ატრავლენია მოგივა და მოჰკვრებიო. დაიწყო წიოკობა, შეიყარენ მეზობლები და ბოლოს ჰექიმიც მაიყვანეს...

გებნები, რაღა, ოყნის მამგონი ცხონებული ყოფილა, იმან გადამარჩინა, თორემ, ეხლა საიქიოს ამბები ზეპირათ მეცოდინებოდა—მააშ.

როცა ყველაფერი ბლაგოპალუჩნათ გათავდა, ვხედამ, შუშანა ლოყებს იკაწრის, ტირის და იქულულება—ვებნები:

— შუშან, ჩემი თავი შენ გენაცვალოს, რა გატირებს? ხომ ხედავ, გადავრჩი, მეთქი?

— სწორეთ იმიტომ ვტირი, რომ გადარჩი და მამენტალნათ არ მოჰკვდიო, ზნაჩიტ ის ჰინა ფალშივი იყო და იმიტომ არ იმოქმედაო, მე კი იმ ბემურაზმა კანტრაბანდისტმა გრანიცის საქონლათ შემომატყუა და მეტი ფასი გადამახდევინაო!..

შენ იმის ჭკვა მითხარ! საყვარელი ქმარი ცოცხალი გადაურჩი და ის ჰინის ფალშივობასა ჩივის. ზნაჩიტ ჩემზე ჯიგარი აუყრია, ჩემი სიცოცხლე კაპიკათ აღარ ულირს და ალბათ სხვა ვინმე უყვარს... ამას იქით პადაზრენიასაც აღარ მოუშლი და ამ ნუყლივით ტკბილ ოჯახში სიმწარეს შამოვიტან.

ეს ყველაფერი იმ ბემურაზ სემაფორის ბრალია, ის რომ არ ყოფილიყო და მელიციონს ჩემთვის შარი არ ჭოედო, მე კუჭი არ გამეშლებოდა და ასეთ აშიპკასა ვაკეთებდი. ვა, ეს სემაფორიც ახალი ხათაა რა

ფარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვეულებრივი ამბავი



— მინდა მყავდეს სწორედ ისეთი ცოლი, როგორიც შენა ხარ ჭკვიანი და ლამაზი.

— ქალო, რა ღმერთი გიწყრება? მთელი დღეები წიგნები გიჭირავს და ერთხელაც არ იფიქრებ, რომ ჩემს ხალათს გარეცხა უნდა?

— რა ოხრათ მინდა ასეთი ცოლი, რომელიც მრეცხავად გადაქცეულა და მთელი დღე საცვლებში ურევს ხელს.

## რადიო სოფლიდან

(გურიიდან)

უკვე აგრილდა ძია „ტარტაროზ“
და დაჩნიკებმა აიკრეს ბარგი,
ადესეს ყურძენს ვენაცვალები,
წელს მის მოსავალს, პირი აქვს კარგი
პარკის ამბებს კი ნუღარ იკითხავ,
სისხლი ეხლაც კი, მადგება ყელში,
ზოგის ცოლშვილი დღე და ღამ სტირის.
ზოგს კი ეშველა, გასწორდა წელში.
სიმინდის ტარო დამოწიფულდა,
იქა-იქ ყანა, კიდევაც მოხმა,
დაბალ ვენახებს ბედმა უმტყუნა,
დააზარალა სეტყვამ და კოხმა.
კოოპერატივი კარგად მუშაობს,
მის წინ მოისპო; რიგი და შეხლა
ალმასკომს უკვე გამოელვიძა,
და გზის კეთებას შეუდგა ეხლა.
ჩვენი სოფელი გაკულტურულდა
და მუშაობა დააწვა დალაქს,
ახალგაზრდები ლამაზდებიან—
სასწავლებელში მოდიან ქალაქს.
ნიაღვრებმა ბევრს მისცა ზარალი
და ხალხი ამით გულნატკენია,
ჯარში გაწვევა ვისაც კი შეხვდა,
„აბა დელიეთ“ მოდიან ყველა.,
დღესასწაულიც გვიახლოვდება
და საამისოთ ირთვება ზოგი,
ეს როხატაურში უკვე მორეკეს
გორც ვეფხვბის და ცხვრების ულევი ჯოგი.

ძნელ-ოღლი.

## ბრძნული აზრები

,1. ის კაცი, რომელიც სირცხვილისგან გაწითლდება, როდესაც თავის გამოგონებას დახედავს—არ შეიძლება ჩაითვალოს წითელ გამომგონებლად.

2. იმისათვის, რომ ცაბლაუჭა ააშენო, საკმარისი არაა ღმერთი არ გწამდეს—საჭიროა კიდევ არქიტექტურის ცოდნა.

3. ძალიან ხშირად მშვენიერ ავტომობილს, რომელიც ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს,—მიყავს პასუხისმგებელი მუშაკი ბრალდებულის უკანასკნელ სიტყვამდი.

## სად უფრო საშიშოა

— მართლა მთებში მიხვალ სამოგზაუროთ? მაშ, იცოდე, გამყოლი წაიყვანე, თორემ გზა-კვალი აგებნევა!

— რათა, კაცო? ტყე ხომ ჩვენი დაწესებულებების კანცელიარიები არაა?

## წარმატება

— კიდევ ქალაქში ცხოვრობს თქვენი ვაჟი?

— იქ არის, გენაცვა...

— კარგი ადგილი უჭირავს?

— აბა რა ვიცი, შენი ჭირიმე!.. წინად ზეინკალი იყო, ეხლა კი, როგორც ამბობენ, რეციდივისტი გამხდარა!

# ჩ ი თ ი ს რ ი გ შ ი



— ქალო, ერთი მეტრი ჩითის ყიდვაში ათი მეტრიტანზე შემოგიხევია, სადაური ყაირათია!

# ექსკურსია მარსზე

„ტარტაროზი“-ს რედაქციის დავალებით, ერთ დილას გავემგზავრე საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში ამხ. ემილ ქშონზერის სანახავთ და მასთან სასაუბროთ.

ჯერ კიდევ ხუთი წუთი აკლდა 8 საათს, როდესაც კარები გაიღო და ამხანაგი ემილი ოთახში შემოვიდა.

ქუდი მოიხადა, ოფლი გადაიწმინდა, სათვალე გაორთქლა და გაწმინდა, დასალევი წყალი მოიმზადა და... დაჰკრა თუ არა საათმა რვა, ემილ მოწყვეტილივით დაეშვა სამუშაო მაგიდასთან მდგარ სკამზე და იმავე წამს შეუდგა საქმეს.

ალტაცებით შევხედე იშვიათი მუშაკის იშვიათ ერთგულებას და მომაგონდა სიტყვები, რომელიც ნაპოლეონმა წამოიძახა გიოტეს ნახვის დროს:—აი კაცი!

— მე თქვენთან „ტარტაროზი“ ს რედაქციამ გამომგზავნა,—მივმართე ამხ. ქშონზერს.

უეცრად მის სახეზე უკმაყოფილება შევამჩნიე და რომ მალე დამემშვიდებია, პასუხს და სკამზე დაჯდომის მიპატიჟებას აღარ დაუცადე და სწრაფად მივმართე:

— როგორც ვიცი, თქვენ განაგებთ საექსკურსიო საქმეებს... მოგეხსენებათ, მეცნიერებმა გამოიგონეს მთვარეზე და სხვა პლანეტებზე აფრენის საშუალება... უკვე აშენებენ საამისოთ ჰაეროპლანებს და...

ემილს სახე გაუბრწყინდა... თვალები ისე გაუდიდდა, რომ კაკლები სათვალეს მიებჯინენ და კიდამ ამოაგდეს შუშები რგოლიდან.

— თქვენ ეგ ნამდვილად იცით?—სულშეთქმით შემეკითხა ქშონზერი.

— ნამდვილად ვიცი, ამხანაგო ემილ... დღესაც იმიტომ მოვედი, რომ გამეგო—ხომ არ შეგიდგენიათ, ან ხომ არ აპირებთ მოაწყოთ ექსკურსია მთვარეზე, ან სხვა რომელიმე პლანეტაზე?

— პასუხისთვის ხვალ მოდით! საჩქაროთ მიპასუხა მან, დაავლო ქუდს ხელი და ოთახიდან გავარდა.

—:—

მე არ მინახავს, მაგრამ მიამბეს:

ქშონზერი, რომელიც მუდამ ჩქარობს და ამიტომ არ ენდობა არც ეტლს და არც ტრამვაის, ფეხით დაუვლია ყველა ქარხნები, ფაბრიკები, დაწესებულებები; ადგილკომები და კავშირები.

— მარსზე ვაწყობ ექსკურსიას... ვისაც გსურთ, ჩაეწერეთ!..

მრავალი ყოყმანობდა, მაგრამ თავზე ხელაღებულებიც გამოინახენ და თანხმობა განაცხადეს.

— ფული რამდენი დაგვჭირდება?—იკითხეს მათ.

— ფული... ფული!..—ქშონზერი ჩაფიქრდა.

მართლაც ჩასაფიქრებელი იყო. ალბად ჩემისთანა უბრალო კაცი ამაზე ბევრს იფიქრებდა, მაგრამ ქშონზერი, აბა, რისი ემილი იქნებოდა, თუ ამასაც სწრაფად ვერ მოისაზრებდა:

— ამხანაგებო, ფული არ გვჭირია.. არ გვჭირია იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ცნობა არა გვაქვს, თუ რა სახის ვალიუტას ხმარობენ მარსზე..

ეს ამბავი ბევრს იამა და ამის შედეგ რამოდენიმე კაცმა კიდევ განაცხადა თანხმობა.

—:—

ქშონზერმა მიიარ-მოიარა იმ დღეს ყველა რედაქციები, ცნობა დააბეჭდინა მარსზე გაფრენის შესახებ, პროფკავშირის წევრებს მოუწოდა ჩაწერილიყვენ ექსკურსანტებათ და ყველას აგონებდა—დროით გამოცხადებულიყვენ.

— გახსოვდეთ ამხანაგებო,—ეწერა ემილის მოწოდებაში,—რომ ამ ექსკურსიას დიდი კულტგანმანათლებელი მნიშვნელობა აქვს. მგზავრობის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მიღებული იქნება წინასწარი ზომები. არ შეგეშინდეთ, საექსკურსიო ბაზა არ ემსგავსება ცხენების ბაგას!..



ამხ. ემილ ქშონზერი ახალ საექსკურსიო ადგილების ძებნაში.

იმ საღამოს, ღამეს, გათენებამდე ტფილისის მოქალაქენი ხედავდენ როგორ დაჰქროდა ქალაქის ერთი კუ

წვიმების გამო სიმინდის ღერო დიდი გაიზარდა, ხოლო ტარო ცუდი.
სიმინდის მოსავალი წლის ნაკლებია.

(ქრონიკიდან)



— რამხელა გაზრდილა, ყარამან ჩემო, შენი სიმინდი!
— მეშინია მეტი არ გაიზარდოს, თორემ ტყეთ ჩათ ვლიან და მოჭრას დამიშლიან.

თხიდან მეორეში ვიღაც კაცი და გაიძახოდა ხმამაღლა მხოლოდ 4 სიტყვას:

— ექსკურსია მარსზე! ამხანაგებო, ემზადეთ!

ეს იყო ემილ ქშონზერი.

—:—

როდესაც მეორე დილით კულგანყოფილებაში მივედი, ქშონზერი ჩვარივით იდგა სკამზე და სულს ძლივს ითქვამდა.

— რა ქენით?? შევეკითხე მოუთმენლად.

— გადაიდო! ოდნავათ გასაგონი ხმით მიპასუხა მან, —თურმე ჯერ ჩვენს ჰაეროდრომს არ მიუღია პლანეტებზე გასაფრენი აპარატები!

**ნიამ-ნიამ.**

# დაზღვეული კამეჩი

მივიდა თორღაი დამზღვევ სალაროსთან და მოახსენა:

— ძმობილო!

— რა გნებავთ!

— რა მნებავს და კამეჩი დამეღუპა—მომეცით ფული.

— მატარებელმა გაჭყლიტა?

— მატარებელი სად ჯანდაბაში მოვიდოდა ჩემი კამეჩის გულისთვის ამ თიანეთის მთებში??

— მაშ როგორ დაამტკიცებ, რომ დაგეღუპა?

— აჰაი შენს კვნესამე, ულელში რო აღარ მიბიან და კაცი დავიშრიტე, განა დამტკიცება არ არის!

— რა მოუვიდა?

— მოკვდა, შენს კვნესამე!

— საბუთი?

— სიკვდილზე დიდი საბუთი რაღაი იქნების?

— ეგ საბუთად არ გამოდგება—ფულს ვერ მიიღებ. უნდა საბუთი გქონდეს, ნიშანი, მოწმე, მოწმობა.

თორღამ თავი გაიქნია და გაბრუნდა.

სანამ შინ მივიდოდა, მისი მოზვერი შეეჭამნა მგელს, ხოლოდ რქები და ჩლიქები-ღა დაეტოვებია. თორღას გაუხარდა. მოკრიფა „ნაშთები", ყური ყურს გადაუბა ხელ საწოცს და წაიღო „საბუთი" დამზღვევ სალაროში.

— არც ეხლა დაიჯერებისავ შენს კვნესამე?!

— რასა?

— იმასა, რომ მგელმა შემიჭამა მოზვერი და აი ესეღა დამირჩინა ი ოხერმა.

მოლარემ გადიხარხარა.

— დახე ეს ჯიშოს გვარისა, როგორ იცინის ჩემს დაღუპვაზე!

— ფულს ვერ მიიღებ—მიუგო მოლარემ.

— რათა შენს კვნესამე?

— რათა და ეგ საბუთი არ არის. უნდა მოწმე გყავდეს..

— ვინ მიმოწმებს შენს კვესამე, მგლების მეტი ვინ იქნებოდა იქ! მგლებს ხომ ვერ მოვიყვან მოწმად! თუ ძალა გაქვს და თვით გარეკავ, ისინი გეტყვიან ჩემს უბედურებასა!

— რა უბედურებას?

— იმ უბედურებას, რომ მგლებს უჯერებთ და მე არა!

— მგლებს კი არ უჯერებ, მოწმე უნდა გყავდეს, რომ მართლა მგლებმა შეჭამეს.

— ი ოხერ მგლებსაც არა აქვთ თქვენს ნაკლები ჭკუაი: არავინ დაიბარეს მოწმედ, როცა სჭამდენ ჩემს მოზვერს.

— ფულს ვერ მიიღებ.

თორღა წავიდა.

სანამ შინ მივიდოდა, ახლა „ვაშლა" ხარი გადავარდნილიყო კლდეში. მეზობლებმა შეატყობინეს. თორღას გაცხარდა, რომ მეზობლებმა შეატყობინეს და ჰკითხა:

— ხომ დაინახეთ??

— დავინახეთ მაშ, დავინახეთ! ჩვენის თვალით დავინახეთ!

გახარებულმა თორღამ ყველა მეზობლები წაიყვანა დამზღვევ სალაროში და რიხიანად განუცხადა:

— არც ახლა დაიჯერებ შე უჯიშოს გვარისავ?

— რასა?

— რასა და „ვაშლა" ხარი გადავარდა კლდეში, ამ ჩემ მეზობლებმა დაინახეს საკუთარის თვალით.

— სად იყვენ ეს მეზობლები, როცა ხარი გადავარდა?

მეზობელმა აუხსნა მოლარეს.

— ჩვენ კლდის ძირში ვისხედით, შენს კვნესამე, და უეცრად ზევიდან რაღაც დაგორდა. ცოტათ გვაკლდა ქვეშ

# ქართული პოეზიის პრეგული

**(ვურჩევთ სახელმძღვანელოების შემდგენელთ ეს ლექსი თავიანთ წიგნებში შეიტანონ.)**

იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპური, გახდი ყანაო.
იკურთხოს მისი მარჯვენა,ვინც გთესა - მოგიყვანაო!
ის საწყალი გლეხის შვილია. ობლადა გამოზდილია,—
რას ერჩი მაგ ბიჭს, ურჯულოს, ხომ ხედავ დაკოდილია!
ჩაფიქრებულა თანდილა, დაუკრებია გულ-ხელი,
ჩასცქერის დედა-მიწასა, ჩუმათ ბუტბუტებს გულხელი:
—აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორას ძვრას
ვუზამ;
ას ლიტრა რკინას დავლეჭავ კევივითა და ყლაპს ვუზამ!
მაგრამ როგორა გაუძლო ამდენ დარდს, მწუხრებასა?
მზეო ამოდი, ამოდი—ნუ ეფარები გორასა!
არსაიდან ხმა.. არსით ძახილი..
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი!
უეცრად შექრთა, ასცქვიტა ყურნი,
ახლოს მოესმა რაღაც ფრუტუნი...
ეს რა არის? ჰერი, ჰერი!
ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი!
ბიჭებო, თავს დაუაროთ,
დავიჭიროთ პურის მტერი!
დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა.
და მტრის საომრად ჯარნი შეყარა.
ისმოდა ყველგან: **Готовтесь к бою!**
**Аллаверды, господь с тобою!**
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება აღარ ახარებს...
და წავიდა წყლის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად.
და იქვე ნახა ლოგზე მჯდარი,
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და თან ამბობდენ საგალობელსა:
—ბიჭო, ვისი ხარ მალხაზო,
დაურჩი დედა შენსაო.
აღზდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს—
სახე მიგიგავს მზესაო.

მა—ველ.

---

არ მოგვიტანა. მერე ავდექით და ვნახეთ, თორღაის ხარი იყყო, კლდიდან დაგორებულიყო.

— მერე, თვითონ დაგორდა?

— აბა რაი ეშმაკი დააგორებდი?

თორღას მოუვიდა გული:

— არც ეხლა მომცემთ ფულსა?

— არა— მიუგო მოლარემ.

— რაით არ მომცემთ?

— იქნებ შენ თვითონ დააგორე.

— რას ამბობ ძამიაუ! მე რაისთვის დავაგორებდი?

— ერთი სიტყვით, ფულს ვერ მიიღებ.

— ცუდი ამბავია ეგ ძამიაუ, მაგრამ იქნების ერთი რამე მაინც გამაგებინო შეუსმენელს.

— რა?

— ისა, რომ შენც ხომ დაზღვეული იქნებისავ?

— ვარ, მერე რა?

— ისა, რომ შენც ისეთ საქონელ სჩანხარ, მგლების მაჭმას ვერ გადურჩები და მოწმეები თან იყოლიე, თორემის შენი პატრონიც ჩემსავით გაწვალდების.

ფეშანგი.

# სხვადასხვა კუთხეებში

**— ამ კლუბის წითელ კუთხეში არავითარი მუშაობა სწარმოებს!**

**— მაშ ამავე კლუბის ბნელი კუთხე ნახეთ აი იქ კი უმოქმედოთ არავინაა!**

# თბილისის ქუჩები ზაფხულში



— ამხ. ტარტაროზო, თქვენი კუპრის ტბაც ასეთია?
— სადაური კითხვაა, ამხანაგო! განა ვერ ხედავთ,რომ ტფილისის ქუჩები ტარტაროზის სამეფოთ გამხდარა!

# ერთი საღამო კლუბში

დადგა ზაფხული და ნახევარი თბილისი საგარაკოთ წავიდა. მატარებელმა, მატარებელს არ უშველა, ავტომობილმა ავტომობილს და ეტლმა ეტლს.

ყველა წავიდა ვისაც კი პატარა მოხერხება და ჯიბე ხელს უწყობდა.

ზოგი სტრახკასიდან—კურორტებზე.

ზოგი—კავშირიდან— დასასვენებელ სახლში.

...და ზოგიც საკუთარი ჯიბის საშუალებით სხვადასხვა აგარაკ-კურორტ-სოფლებში.

გაიზიდა ხალხი: ბორჯომში, სურამში, წაღვერში, ბაკურიანში, კოჯორში, კიკეთში, წყნეთში, აბასთუმანში, არაზინდოში და სხვადასხვა, ჩვენი კურთხეული ქვეყნის ნაძვნარ ფიჭვნარში, მოჩუხჩუხე ნაკადულების და მშფოთვარე მდინარეების ნაპირებზე.

მაგრამ თბილისი სულ არ დაცარიელებულა.

დარჩენ ისინი, ვინც ვერ წავიდა ვერც სტრახკასის, ვერც კავშირის და ვერც საკუთარი ჯიბის საშუალებით.

ალბათ ბუნებამაც ინამუსა და არ ისურვა დარჩენილების გამოხრჩობა ტფილისის დახუთულ ქუჩებში.

არც ისეთი სიცხეები დაუჭერია, როგორც ჩვეულებრივად იცის ხოლმე.

მოსაღამოვდება თუ არა ტფილისის ქუჩებში გამოეიფინება ტალღა, დღისით დაღალულ-დაქანცულ მუშა-მოსამსახურეებისა და მოედება იმ უამრავ ბაღებს და გასართობებს, რომელიც ტფილისში, განსაკუთრებით, ზაფხულობით იხსნება ხოლმე.

ბოტანიკური ბაღი, მუშტაიდი, ალექსანდროვის ბაღი, ვერის პარკი, და კიდევ „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა" რამდენი მავნე ხეებით შემოსილი ადგილებია ტფილისში.

ისეირნე რამდენიც გინდა ვერის ბაღში არავინ ხმას არ გაგცემს, არავინ შიგ შესვლას არ დაგიშლის, თუ მიბნელებულ კუთხისაკენ არ წადი და ხულიგნების ლუკმად არ იქეცი.

მაგრამ ჩვენი ხალხი იმდენად კულტურულია, რომ მას მარტო სირნობა არ აკმაყოფილებს, მას კულტურული გასართობიც ესაჭიროება... და ამისათვის ის უფრო კლუბებისაკენ მიიწევს...

კლუბებით ხომ დასერილია ჩვენი ტფილისი.

კაჭკაჭის ენა უნდა გამოვიბა რომ ყველა ისინი ჩამოვთვალო.

ან კი ჩამოთვლა რა საჭიროა, როდესაც დარწმუნებული ვარ რომ მკითხველს უნახავს და გამოუცდია ის რაც მე გამოვცადე კლუბში წასვლით.

როგორც ყველა ტფილისის მცხოვრები და ჩვეულებრივი მომაკვდავი, მეც მაქვს ხოლმე სურვილი კულტურულ გასართობში წასვლისა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ მიყვარს ჩვენი აკადემიური დრამა და ოპერა, კარგი კინო--სურათი, („შუქურას საიდუმლო" ან „სავურ საფლავი" არ გეგონოთ); კარგი მომღერალი; თუმცა ძლიერ განვითარებული გემოვნება არ მაქვს, მაგრამ კარგ მოცეკვავეს მაინც სიამოვნებით უყურებ (გთხოვთ ალბერტი არ იგულისხმოთ).

... ჰო და მეც მთელი ზაფხული ტფილისში დავრჩი...

.... დავრჩი და გადავსწყვიტე ყოველკვირეობით საავარაკოთ წასულთა ჯინაზე მეც მეყნოსა მწვანის სურნელება.

... სად შეიძლებოდა ამის შესრულება?

ჩვენ მუშათა კლუბებში.

მეც ეგრე მეგონა, მაგრამ ვაი იმ დღეს რაც მე დამადგა.

ბოდიშს მოვითხოვ—ძვირფასს მკითხველებთან სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ რაც მაწუხებს არ შემიძლია, რომ არ ვსთქვა.

თუ თქვენც გამოგიცდიათ ასეთი გაჭირვება ყური დაუგდეთ და ცოტათი მაინც შემიმსუბუქეთ ის საშინელი დღე, რაც მე განვიცადე.

როგორც ყველა მუშა-მოსამსახურე მეც რასაკვირველია პროფკავშირის წევრი გახლავართ და ამასთანავე კლუბის წევრიც. განა ერთის, ორი კლუბისა.

იმ დღეს, რასაკვირველია კვირა დღეს, საქმე დღეს აბა ვინც მომავლის საამისოთ, გადავსწყვიტე, როგორც მოგახსენეთ მოაგარაკეების ჯინაზე დავმტკბარიყავი ჩვენი ბაღ-კლუბებით და ერთ-ერთ კლუბში წავედი..

მოვირთე, მოვიკაზმე (რასაკვირველია ჩემებურად) და „ჩვენი" კლუბისაკენ გავსწიე.

შესავალი კარები გაჩირაღდნებულია.

სალაროსთან აუარებელი ხალხია. ბილეთებს ყიდულობს. მაგრამ მე ამას ყურადღება არ მივაქციე და პირდაპირ შესავლისაკენ გავემართე.

— ვი კუდა ტოვარიშჩ?

— შემეკითხა ვიღაც მოხუცი, მაგრამ ჭარმაგი, წვერულვაშ გაპარსული კაცი.

— კლუბში მინდა შევიდე—უპასუხე გაკვირვებით.

— ა ბილეტ?

— აი ბილეთი და კლუბის საწევრო წიგნაკი გადავეცი.

— ბილეთი მაინც უნდა იყიდოთ, დღეს კლუბის წევრებიც იხდან.

— განა მარტო დღეს. ყოველ დღე—ჩაილაპარაკა ჩემს

## გამოცდილებიდან



— ალბად, მამა ჩემო, შენც ისე ღელავ, როგორც მე როცა გამოცდებს ვაბარებ... გული დაიმშვიდე, მაინც და მაინც არაფერია ისეთი.

# დაღალული აქლემი

ერთა ლიგა მოიღალა დიდი მუშაობისაგან.

(ნაწყვეტი დეპეშიდან)



— ტვირთის წაღება კი არა, ბუზმა რომ შემიბეროს ცხრა მთას იქით გადამისვრის.

გვერდით ვიღაც ალბათ ჩემსავით უკან გაბრუნებულმა ახალგაზრდამ და სალაროსაკენ წავიდა.

ვატყობდი ლაპარაკი ზედმეტი იყო და მეც სალაროსაკენ მიუხვიე.

რის ვაი ვაგლახით ბილეთი ავიღე და როგორც იქნა ბალში ამოვყავი თავი.

ბალი ხალხით იყო გაჭედილი.

ხოჭოჭინას, (ჩვენში „რაკოვინას" ეძახიან) ე. ი. იმ ადგილის წინ სადაც წარმოდგენა უნდა გაიმართოს გამწკრივებული იყო სკამები. სკამებს გარშემო რაღაც ნაირად ისე დაედგათ სხვა იმგვარივე სკამები, რომ თუ ამ სკამებზე არ გადახვიდოდით ისე ვერ დაჯდებოდი. მეც ის-ის იყო სკამზე უნდა შევსულიყავ და პატარა ფიზკულტურის გაკვეთილი მიმეღო, რომ ვიღაც უკანიდან მწვდა და ძირს ჩამომსვა.

— შესავალი იქიდან არის—მიმითითა ერთ მხარეს.

გავიხედე და მტერმა ნახა ის რაც მე იქ ვნახე.

ერთ ადგილას რაღაც საშინელება ხდებოდა.

— ამხანაგო ნუ მაწვებით, რა ამბავია, ცოტა მოიცადეთ—ყვირის ის ვინც კარებში სდგას.

— ვაი დედა მოგიკვდი—ისმის იქვე.

— აბა ხელებს რათ აფათურებ—მესმის ქალის ხმა.

— ამხანაგო ეს უზრდელობაა, თქვენ ტუტუცი ხართ სჩივის ვიღაც—ტუტუცის „ამხანაგი" ბოხის ხმით.

მაშინ მივხდი, რომ აქ კიდევ მეორე კარები უნდა გამეარა, რომ მენახა ის რისთვისაც მოველი.

— ექვსი თვეა, ძლივს ერთი ფეხსაცმელი ვიყიდე, თექვსმეტმანეთიანი, „ზაკტპოში" და ისიც თუ აქ გავაფუჭე აშენდება ჩემი ოჯახი თქო—ვიფიქრე და მანამ არ შევსულვარ, სანამ ხალხი ცოტა არ მოწყნარდა. თუმცა შესვლისას მეც კარგა გვარიანად მიმზილეს.

როგორც იქნა ველირსე და ერთ-ერთ სულ ბოლო სკამზე დავჯექი.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ხოჭოჭინაში თავი გამოჰყო ვიღაც ქერა კაცმა და რაღაც გამოაცხადა.

ცოტა ხნის შემდეგ ფარდა აიწია.

თითქოს ვიღაცამ ხემსები შეურჭოო, ყველა ვინც კი ჩემს წინ იჯდა ზეზე ადგა.

ვზივარ და ვფიქრობ,—ნუ თუ ამ ხალხის ზურგების და ქალების შლიაპების დასათვალიერებლად მოვედი, ამოდენი ვიშრომე და ფულიც გადავიხადე?

მაგრამ ვხედავ, რომ არავინ არ ინამუსა და ჩემი უკანა სკამზე ჯდომა არ შეამჩნია. მეც ბევრი აღარ ვიფიქრე და სკამის საჯდომზე ფეხზე ამდგარმა, რომ ვეღარაფერი დავინახე სკამის ზურგზე ავედი და იქიდან დაუწყე ცქერა.

ვიღაც ქალი (თურმე დიდი დამსახურებული მსახიობი იყო) ცეკვავდა. მშვენიერი, მომხიბლავი (თითონ კი არა) ტანის რხევა. გასაოცარი ხელოვნება.

როგორც მოგახსენეთ ხელოვნების კაცი ვარ და იმდენად გამიტაცა, რომ გარშემო ვეღარაფერს ვეღარ ვამჩნევდი.

ჩემს გარშემო კი თურმე ერთი ამბავი ხდებოდა.

— ეი შენ, მოლოდოი ვორონცოვ, სად ასულხარ ჩვენც უნდა დავინახოთ თუ არა—ყვირის ვიღაც.

— ყმაწვილო, ყმაწვილო, ჩამოეთრიეთ ძირს, როგორ იქნება—ვიღაცა ზრდილობიანად ფეხებზე ხელს მცემს ძირს „ჩამოთრევას" მთხოვს".

ვერაფერს ვერ მივხდებოდი თუ ვის ელაპარაკებოდენ, რომ ერთი მაგარი მუჯლუგუნი არ მეგრძნო და თანაც შემდეგი სიტყვები არა გამეგონა.

— ვარანცოვი ჩამოიღეს რამდენიმე ასი ფუთი იყო და შენ რა გახდი—ჩამსძახა ვიღაცამ და ცივ-ცივ შემოლობლიდან გარეთ გამომიტანა.

მაშინ გამოვერკვიე. თურმე ეს ვარანცოვი, რომელზედაც გაიძახოდენ მე ვიყავი.

მტერმა არ ნახოს კარგი არაფერი, რაც ამას შემდეგ მე იქ, არაფერი დამენახოს. ერთი ორი გავიარე და გამოვედი.

... და გადავსწყვიტე, გვერდი ავუარო ყველა კლუბებს და ისევ ვერის ბაღში წავიდე ხოლმე თავისუფალ დროს, თუ ხულიგნებმა არ მომბეგვეს და უარესად არ დამამტვრიეს, ვიდრე იმ ჩიტარჩნინებულ ღამეს.

შორეული.

## მიზეზი

— ის შენი მეგობარი კაცი, ნიკო, რატომ ერთხელ მაინც არ მიიღებს მონაწილეობას ექსკურსიაში?

— ლოთობა არ უყვარს, ისე კი რა უნდა,—მოეწყინება.



# მუშათა კლუბებში კონცერტებზე



— რა გულსაკლავად მღერის ეს ქალი სიყვარულზე.
— მაგის გულს ზარბაზანი თუ მოკლავს, თორემ სი- ყვარული ვერაფერს დააკლებს.

# ფოქსტროსტი

ეფემია ჩემო, მე რომ ამბავი და თავმოსაჭრელი საქმე ვიყურე, ღრმეთმა ჩემი მტრისა და მაწყევარის სახლში ნუ განახვოს. რაცხა უბედურად, მოვხდი ჩემი ნათლულის ბიძაშვილის სახლში ქეიფზე.

ალბად შენც ქე გაგეგონება: ქალაქის ბანკში მსახურობს. უმისოთ, მწა, კაცი ფეხს ვერ შეაბიჯებს იმ ახერხილ სახლში. ში კარებში ზის დარაჯათ და განაგებს, ვინ რომელ ოთახში უნდა შევიდეს. დიდი განათლებული და ნასწავლი კაცია.

იმისთანა საინტერესო რუსული იცის, რომ თავს ვერ მოუვლი.

იმას მოგახსენებდი, შენ ხარ ჩემი ქალბატონი, მოვხვდი იმის სახლში ქეიფზე.

ახლა რომ ჩია ხალხია, იმისთანა ჩემს თვალებს არასოდეს უნახავს! ძლივათეი მოვასწარი სტოლზე დაჯდომა, გადაკრეს თითო სტაქანი და მოტყდათ კისერი.

ხუთი მინუტის შემდეგ სულ ყველა საძვირფასოთ მთვრალები იყვენ და ჩემი ყანყრატო კი ჯერ დაუსველებელი მქონდა.

— ფუი, თქვენ ვაჟკაცობასთქვა, გევიფიქრე გულში!

— აბა ჩემო მაშიკო, ახლა ფოქტროსტი ვითამაშოთო! გადუელაპარაკა ჩემმა ნათესავმა კაცმა ერთ თათრულა კვაწისავით ჩამრგვალებულ გოგოს.

— „უჰ, დუშკაო! წამეიძახა ამ გოგომ, წამოხტა და ჩამეეკიდა იმხელა ყაძახს კისერზე.

ვიფიქრე, ნამდვილად „ფოქტროსტი“ რუსულად ლეკურს ქვია თქვა და მეც ქე გევისვი ხელი ხანჯალზე.

დეიწყეს თამაში. მარა ნეტაი ჩემ დასათხსებ თვალებს იმისთანა თამაში არ დაე[illegible] მის დღეში.

ეს ხორცათ ათქვირებული გოგო ჩაიკრა გულში და დაიწყეს ტრუალი.

ვიფიქრე, ნამდვილად შეიშალენ მეთქი და დევეძგერე: არ გრცხვენიათ, თუ ნამუსი სულ არ დაგკარგვიათ, მეორე ოთახში გადით-თქვა.

იმ გაბანებულმა გოგომ დაშმუშნა ტუჩები და „მუჟიკ ნე მეშაიო“ მომაძახა.

გავსკდი კაცი გულზე, სული ყანყრატოში მომადგა: მოდი და ასტავლე ახლანდელ დროში შვილებს! ჩემი ნაწყავ-ნაღაგი შვილი ვინცხა ყაძახმა უნდა ჩეიკრას გულში??

საცხა იმისთანა თამაში გამეიგონეს, აწი იმისთანასაც გამეიგონებენ, რო სირცხვილისაგან თვალები გადმოგეყლიპება. დედა, რავა წახდა ხალხი!

დოუხტვინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვის ერგო 50 მანეთი

## № 5 კონკურსის შედეგები



**№ 5 კონკურსის სურათი**

ჟიურიმ დააჯილდოვა შემდეგი წარწერები:

## პირველი ჯილდო 30 მანეთი ერგო წარწერას:

### ორში რომელი?

იმ პორტფელის დაკავებას ამ კალათას ხელში დაჭერა მირჩევნია. აქ აშკარად მაინც ვხედავ რა არის, იქ კი საიდუმლოებით მოცულია ყველაფერი.

—

**წარწერის ავტორი:**

ხოფიო მაისურაძე. თბილისი, პლეხანოვის შ. № 8 მოსამსახურე.

## მეორე ჯილდო 25 მანეთი ერგო წარწერას:

— ის პორტფელი რომ ამ სანოვაგით აავსო, აი მაშინ ექნება აზრი მის ხელში დაკავებას.

**წარწერის ავტორი:**

თოფურია ნიკოლოზ ელისბარის-ძე სადგურ ფოთის დეპო. მუშა.

— —

ამას გარდა ჟიურიმ მოიწონა წარწერები შემდეგი ავტორებისა: მ. ბაკურაძის, შ. რაზჰაძის, ი. ბაქრაძის, ს. ლუხუტაშვილის, ვ. რევიშვილის და თამ. ჯაფარიძის.

შ. შ. ადგილობრივათ ჯილდოს მიღება შეიძლება გაზ. „მუშა“-ს კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 6); პროვინციაში ჯილდო გადაიგზავნება ფოსტის საშუალებით.

# ცნობათა მიღება



**ბობოლას** (თბილისი)

ბობოლამ თორმეტ ფურცელ ქაღალდზე დაწერილი „ხუმრობა“ გამოგვიგზავნა. ყოველ გვერდში არის 27 სტრიქონი და ყოველ სტრიქონში ორჯერ ნახმარია სიტყვა „პუპუს“.

ბობოლაჯან, მართლაც პუპუს შენი საქმე! ერთი ბუღალტერი დაიქირავე, გამოიანგარიშე მაინც — რამდენჯერ ჩაგიპუპუსებია შენს პუპუსა წერილში!

**ჭიჭიკოს** (სამტრედია)

თბილისში დიდი სიცხეებია. თქვენმა მოთხრობამ უფრო შეგვაწუხა. არ დაიბეჭდება. უკაცრავად ვართ. საწყენათ არ მიიღოთ.

**დიპლიპიტოს** (ქიათურა) იწერებით ცოლი გამექცაო. გასაკვირალი ისაა, რომ ასეთი ლექსის დამწერს ორი წელიწადი შერჩა ცოლი:

„ორი წელი გვრიტივითა
გავატარეთ ჩიტივითა
შაქარს გაჭმევ პესოკსაო,
თუ არა და მახათსაო“.

სულზე ხელი დეიდევი, შეეძლო ადამიანს ასეთ ლექსის დამწერთან ცხოვრება?

**კიკოლიკის** (ზესტაფონი)

კიკოლიკი იწერება:—„ნამეტანი შეგვაწუხა წვიმებმა. შენ იცი ტარტაროზო, თუ შენებურად შეუკურთხებ“..

უკაცრავად ბრძანდებოდეთ! წვიმას აქეთ მოუთმენლად ველით.

თუ ბიჭი ხარ, სული შეუბერე და აქეთ გადმორეკე ღრუბლები.

**ჯიბოს** (სამტრედია)

ჯიბო სამტრედიაში გვეპატიჟება:

— ერთი დღით მაინც ჩამოდი ტარტაროზო და შენი თვალით ნახე რა სიბინძურეა ქუჩებში“..

შე კაი კაცო, ქორწილში მეპატიჟებოდე, კიდევ მესმის და ამხელა გზა სიბინძურის სანახავად უნდა გამოვიარო?

**სარდიონს** (თბილისი)

„ჩიკ-ჩიკ-ჩიკი-რიკი
აღარ მინდა ლაპარაკი.
ტარტაროზო, ამ სიცხეში
სულ გამიხმა კუდის რიკი“.

ლექსის წერა კარგათ გცოდნიათ. ხომ ხართ მწერალთა კავშირის წევრი?

# გამგისებურათ გაიგო




— გამგე ღებულობს?
— რატომ არ მიიღებს, თუ კი რაიმე წყალობას იზამ!

ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 63.